

გამოცემის მი თვეში ერთხელ

თემატიკაში სიახლის მაძიებელი და შემოქმედი ექიმებისათვის

ნომერი შია:

▼
საბაზაფს ულო დეტოქსი ტოქსინებისაგან ორგანიზმის ეფექტური გაწმენდა

▼
სეზონური უსიამოვნებები

▼
ალერგიები

კჯანსაღდებით!

ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ექიმები აღნიშნავდნენ საგაზაფხულო ცვლილებების მნიშვნელობას. ერთის მხრივ, ეს ავიტამინოზებისა და შლაკებით ორგანიზმის გადატვირთვის დროა, მეორეს მხრივ კი – ზამთრის მძიმე საკვებისა და დაბალი ფიზიკური დატვირთვის შემდეგ – განახლებისა და გაწმენდის დრო.

თანამედროვე ნატუროპათია ასეთ შემთხვევებში მიმართავს დრენაჟსა და დეტოქსიკაციას, რომლებიც მკურნალობისა და გაჯანსაღების ნებისმიერი ბუნებრივი მეთოდის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

სრულყოფილი დეტოქს-კურსის ჩატარებისთვის საკმარისი არ არის განსაზღვრული პროდუქტების მიღებაზე უარის თქმა. ორგანიზმს ესაჭიროება დახმარება, რადგან მობილიზაციისა და დაგროვილი ტოქსინების (ისინი კი, ზამთრის განმავლობაში საკმაოდ გროვდება) გამოსადეგნად საჭიროა სხვადასხვა სამკურნალო საშუალებები, და უპირველესად – ბიორეგულაციური. მცენარეული და მინერალური ინგრედიენტების მიკროდოზების აქტიურობის ხარჯზე მათ შეუძლიათ ტოქსინების შეკავშირება და ახალი არატოქსიკური შენაერთების წარმოქმნა, რომლებიც თირკმლების, ნაწლავებისა და სხვა ორგანოების მეშვეობით, წინააღმდეგობის გარეშე ტოვებს ორგანიზმის შინაგან გარემოს.

საბაზაფს ულო დეტოქსი

ტოქსინებისაგან ორგანიზმის ეფექტური გაწმენდა

ძველი ეპოქის ყველაზე ცნობილი ექიმები – ჰიპოკრატე და პარაცელსი ორგანიზმის საგაზაფხულო გაწმენდის შესახებ შრომებში ხშირად საუბრობდნენ. მათი აზრით, ცოცხალი სამყაროს განახლებისა

და აყვავების პერიოდი საუკეთესო დროა მათი ორგანიზმის სისტემებისა და ორგანოების „კაპიტალური შეკეთებისათვისაც“, პირველ რიგში კი ეს დაგროვილი ტოქსინებისაგან გაწმენდას ეხება.



შორს ტოქსინები!

ზამთარში, ადამიანი, როგორც წესი, უფრო მძიმე, ცხიმოვანი საკვებს იღებს. ის ნაკლებად მოძრაობს, წონაში მატულობს. ცხიმებთან ერთად ორგანიზმში პოტენციურად საშიში ნივთიერებები – ტოქსინები ხდება (დარჩება კიდევ). ტოქსინები მატრიქსის დაბინძურებას იწვევს. ტოქსინები მატრიქსში უჯრედ-შორის სივრცეებს ავსებს, უჯრედებსაც უკვე აღარ ჰყოფნის ჟანგბადი, ასევე წყალი და საკვები ნივთიერებები. იმავე დროულად, უჯრედის ცხოველქმედების პროდუქტების გამოტანა, რომლებიც ნივთიერებათა ცვლის პროცესებს აღარ

მსოფლიო მედიცინის მთელი გამოცდილება ამტკიცებს, რომ დეტოქსიკაციის პერიოდული კურსები საჭიროა ყველა სისტემის – იმუნური თუ ჰორმონული, ნაწლავთა თუ გულისა და თავის ტვინის – მუშაობის შენარჩუნებისათვის.

სჭირდება, ძნელდება. განგაშის პირველი სიგნალი, რომელიც სუსტი სქესის ყურადღებას იპყრობს, მოულოდნელი და არაფერთან დაკავშირებული სხეულის მასის მატება და „ფორთოხლის ქერქის“ – ცელულიტის გაჩენაა.

ამ ეტაპზე აუცილებელი ხდება დეტოქსიკაციის ყველაზე აქტიური ღონისძიებების, კერძოდ კი იმ პრეპარატების მიღება, რომლებიც ლიმფური სისტემის დრენირებას, ტოქსინების გამოთავისუფლებას, შეკავშირებასა და ორგანიზმიდან გამოტანას ახორციელებს. რაც უფრო მეტი ტოქსინი ხდება გარემოდან ორგანიზმში და რაც უფრო ნელა ხდება გარეთ მათი გამოტანა, მით მეტი მავნე ნივთიერება გროვდება მატრიქსში და ამ უკანასკნელს ტოქსინების თავისებურ „სათავსოდ“ აქცევს, რაც მატრიქსის ცხოველქმედების დარღვევის მიზეზი ხდება. ორგანიზმის უჯრედებში წინააღმდეგობის გარეშე სულ უფრო ნაკლები სასარგებლო ნივთიერება ხდება. იმუნური, ჰორმონული და ნერვული სისტემებს შორის რთული კომპლექსური ურთიერთკავშირები ირღვევა, ვითარდება დაავადება. სწორ დეტოქსიკაციასა და დრენაჟს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქრონიკული დაავადებების განვითარებაში, რომლებიც დიდწილად სწორედ იმიტომ ვითარდება, რომ ორგანიზმს სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილში დაგროვილი ტოქსინების გამოდევნა არ შეუძლია. დამაზიანებელ ზემოქმედებას ახდენს

სეზონური უსიამოვნებები

ადამიანების უმრავლესობისათვის გაზაფხული სითბოს მოახლოებას, ბუნების კაშკაშა ფერებს და აყვავებულ ბუნებას ნიშნავს. მაგრამ ბუნების გამოცოცხლება ყველა ადამიანში როდი იწვევს სასიამოვნო ასოციაციებს.

მეცნიერები ჯერჯერობით უძღუნრი არიან უპასუხონ კითხვას, თუ რატომ აქვს ზოგიერთ ადამიანს ალერგიული რეაქციები, ზოგს კი – არა. ექსპერტების უმრავლესობა თანხმდება იმ აზრზე, რომ ალერგიის მიზეზი კვების რაციონში ცვლილებები და ადამიანის მიერ შექმნილი ახალი ქიმიური სუბსტანციებია. ჩვეული სახელწოდება „ალერგია“ – ეს არის იმუნური სისტემის გადაჭარბებული რეაქცია უცხო, მაგრამ ჩვეულებრივ, უსაფრთხო ნივთიერებებზე, როგორცაა მცენარის მტვერი ან შინაური ცხოველების ბეწვი. ეს დაავადება ჩვენს დროში ძალიან გავრცელებულია, თუმცა, მისი არსებობის შესახებ ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში იყო ცნობილი.



ყველაზე ხშირად ალერგენებად კვებითი კომპონენტები გვევლინებიან. ამასთან არა მხოლოდ ახალი და უჩვეულო – არამატიზატორები, სტაბილიზატორები და კონსერვანტები. ალერგენები შეიძლება გახდეს ჩვეულებრივი პროდუქტებიც – უმი ბოსტნეული, ბურღულეული, ხილი. ეს გასაკვირი სულაც არ არის, რადგან ჩვენს დროში სპეციალური ფერმების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაც კი ვერ იქნება სრულიად დაცული დაბინძურებული გარემოს საფრთხისაგან – რომ არაფერი ვთქვათ ჩვეულებრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე.

ალერგიის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს გენეტიკა. თუკი ალერგიით ავადობს ორივე მშობელი, იმის რისკი, რომ ალერგია ბავშვებსაც ექნებათ, 40-70%-ით იმატებს, ხოლო მხოლოდ ერთი ალერგიული მშობლის შემთხვევაში, ეს რისკი – 20-40%-ია. მაგრამ მეტკვიდრობით გადადის არა ალერგიის განსაზღვრული სახესხვაობა, არამედ ალერგიისადმი განწყობა – ატოპია. თავისთავად ის ალერგიის საფრთხესთან დაკავშირებული არ არის.

დაავადება, ჩვეულებრივ ვითარდება მაპროვოცირებელი ფაქტორების ფონზე. ბავშვებში, რომლებიც მხოლოდ დედის რძით იკვებებიან, ასეთ ფაქტორებად შეიძლება იქცეს არასწორი, არაბალანსირებული კვება, შინაური ცხოველის ბეწვი, სტრესი, თამბაქოს კვამლი. ატოპიის არსებობა დასტურდება სისხლის კლინიკური ანალიზით, თუმცა ტესტების მეშვეობით შეუძლებელია იმის პროგნოზირება თუ როდის და რის საპასუხოდ განვითარდება ალერგიული რეაქცია.

დღესდღეობით, ალერგია პროფესიულ დაავადებად იქცა: მაგალითად, პარიკმახერებისთვის (კლიენტის თმასთან კონტაქტის გამო, რომელზეც მძიმე მეტალები გროვდება), ან ბიბლიოთეკარებისთვის (მტვერთან მუდმივი კონტაქტის გამო). ასევე კარგად არის ცნობილი და გავრცელებული პურის ქარხნების თანამშრომელთა ასთმური რეაქციები ფქვილის მტვერზე. ალერგია და ატოპია არ ით-

ვლება უჩვეულო დაავადებად. ალერგიის გავრცელებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქიმიურმა მრეწველობამ. უკანასკნელი საუკუნე-ნახევრის მანძილზე აღმოჩენილი და სინთეზირებულია დაახლოებით 15 მილიონი ახალი სუბსტანცია, რომელთაგან ბევრი თანამედროვე ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად იქცა. მაგრამ პროგრესს თავისი ფასი აქვს. თანამედროვე მონაცემების თანახმად, 150–300 ათასი ნივთიერება პოტენციური ალერგენის როლში გამოდის. ადამიანების ჯანმრთელობის გაუარესებაში გარემოს დაბინძურებასაც არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ცუდი ეკოლოგიის ფონზე იზრდება ალერგიული დაავადებების რისკიც. მაგალითად, ჰაერში შემცველი ტოქსიკური ნივთიერებები მცენარეების ფესვებზე, ყვავილებსა და ფოთლებზე ილექება. შედეგად, ბუნებრივი ნივთიერებები, მცენარის მტვერი იცვლება და გარდაიქმნება პოტენციურ ალერგენებად, რომელთაც შეუძლია ალერგიული დაავადებების გამოწვევა – განსაკუთრებით კი, ალერგიისადმი განწყობილ ადამიანებში.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ევროპის ქვეყნებში ალერგიით მოავადე ადამიანთა რიცხვი მოსახლეობის 1%-ს არ აღემატებოდა. საუკუნის მეორე ნახევარში ამ მაჩვენებელმა 5% შეადგინა, ჩვენი საუკუნის დასაწყისში კი 15%-იან ზღვარს გადააბიჯა (ზოგიერთ ეკოლოგიურად არახელსაყრელ რეგიონში ალერგია მოსახლეობის ნახევარს შეეხო).

პრინციპი – „კლიტმ-გასაღები“

თავდაპირველად ალერგიული რეაქცია საკმაოდ უწყინარია. ალერგენტთან პირველი კონტაქტის შემდეგ იმუნური სისტემა „ყურადღებას იკრებს“ და ანტისხეულების სინთეზს იწყებს. ამასთან, მათი ნაწილი პოხიერი უჯრედების ზედაპირზე ხვდება, რომლებიც შემაერთებელ ქსოვილში ან სისხლის მიმოქცევის სისტემაშია ლოკალიზებული. ალერგენტთან განმეორებითი კონტაქტისას იმუნური სისტემა მასზე მყისიერად რეაგირებს. პოხიერი უჯრედები ქსოვილოვანი ჰორმონის ჰისტამინის სინთეზს იწყებს, რომელიც „კლიტმ-გასაღების“ პრინციპით ორგანიზმის მკაცრად განსაზღვრულ უბნებში აღ-



ალერგიის მკურნალობა და პროფილაქტიკა

სწორი კომპლექსური თერაპია ეხმარება ორგანიზმს ტოქსინებისგან განთავისუფლებაში (იხილეთ მასალა დრენაჟსა და დეტოქსიკაციაზე). დეტოქსიკაციის კურსი ჩვეულებრივ ანტიალერგიულ მკურნალობასთან ერთად ტარდება, რომელსაც პაციენტის დაავადების ფორმიდან გამომდინარე (მაგალითად კანზე ან ასთმური გამოვლინებებისას) ნიშნავენ.

ამა თუ იმ ფორმის ალერგიისთვის განკუთვნილი სპეციფიური ღონისძიებების გარდა, ტარდება აუტოჰემატოთერაპია – ბიორეგულაციურ პრეპარატებთან ერთად პაციენტის სისხლის გამოყენებით. სისხლს იღებენ თითოდაც ან ვენიდან, ურევენ წამალს (ან ხსნიან სპირტის წვეთებით) და ხელმეორედ შეჰყავთ ინექციის სახით. ალერგიებს მუდამ გამოხატული ინდივიდუალური ხასიათი აქვს და ამის გათვალისწინება ალერგიების მკურნალობის სტრატეგიის განსაზღვრაში აუცილებელია.

ხელი ვიუფყვით ორგანიზმს!

უშუალოდ ალერგიის წინააღმდეგ გამოიყენება ბიორეგულაციური პრეპარატი – ლუფელი (Luffeel).

Luffeel-ის ტაბლეტები განკუთვნილია სეზონური ალერგიების გამოვლინების პროფილაქტიკისთვის. მათი მიღების დაწყება უმჯობესია პოტენციური ალერგენების აყვავებამდე 4-6 კვირით ადრე. ჩვეულებრივ დოზირება – 3-ჯერ დღეში თითო ტაბლეტი – საშუალებას აძლევს ორგანიზმს მოემზადოს ალერგენტთან კონტაქტისთვის და უკეთ გადაიტანოს მათი არსებობა.

თუკი ალერგიის სიმპტომები უკვე გამოვლინდა, სპეციფიკური რეკომენდაციას უწევს ლუფელის სპრეის. მისი შედეგითობა რამდენადმე განსხვავდება იგივე სახელწოდების ტაბლეტებისგან. ამას გარდა, გამოშვების მოსახერხებელი ფორმა – ცხვირის სპრეი – საშუალებას იძლევა, რომ პრეპარატი უშუალოდ ცხვირის ლორწოვან გარსზე მოხდეს და შეეწინააღმდეგოს ალერგიული რეაქციის განვითარებას. თითოეულ ნესტოში 1-2 შესუნება დღეში 3-5-ჯერ ალერგიული სურდოს სიმპტომებს სწრაფად და ეფექტურად ხსნის.



საბაზაფხ ულო დეტოქსი

ტოქსინებისაგან ორგანიზმის ეფექტური გაწმენდა

დასაწყისი პირველ გვერდზე

ევზოგენური და ენდოგენური ტოქსიკური ნივთიერებები.

ინტოქსიკაციის ყველაზე გავრცელებული და ტიპური სიმპტომებია:

- მომატებული გადაღლა;
- კონცენტრაციის დაქვეითება;
- თავის ტკივილი;
- გაღიზიანება, თვით დეპრესიული გამოვლინებების განვითარებაც კი;
- მწვავე რესპირაციული დაავადებების განვითარებისადმი მომატებული მიდრეკილება.

დეტოქსიკაცია – თეორია და პრაქტიკა

სწორი დეტოქსიკაციისა და დრენაჟისათვის აუცილებელია რამდენიმე პირობა:

უპირველესად, უნდა შევძლოთ ორგანიზმში ახალი ტოქსინების მოხვედრის შეწყვეტა, უარი უნდა ვთქვათ თამბაქოს მოწევაზე, შევამციროთ ალკოჰოლის, ხორცისა და ღრმა გადაშუშვების პროდუქტის რაოდენობა. სამწუხაროდ, ყველასთვის ადვილი არ არის ჩვევების დაიწვება. ამას გარდა, მსხვილ ქალაქებში ცხოვრების პირობების შეცვლა შეუძლებელია, რადგან გამონაბოლქვი გაზები ორგანიზმზე ზეგავლენას ძველებურად ახდენს. თუმცა სპორტული ვარჯიშები და ჯანსაღი ცხოვრების წესი, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით მდიდარი კვება ამ ფაქტორთა ზემოქმედების შემცირების საშუალებას გვაძლევს.

მეორე, უნდა გამოვიყენოთ დეტოქსიკაციისა და დრენაჟის სხვადასხვა სამედიცინო მეთოდი. ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური შესაძლებლობაა მრავალკომპონენტური რეცეპტურის მქონე კომპლექსური საშუალებების გამოყენება, რომელთა შექმნა აფთიაქებში რეცეპტის გარეშე შესაძლებელია, გამოყენება კი ჩვენების მიხედვით ხდება. გერმანელი ექსპერტების აზრით, მეორე ვარიანტი უფრო სასურველია, რადგან ერთდროულად ყველა ტოქსინსა და სიმპტომთა კომპლექსზე ზემოქმედების საშუალებას იძლევა და ძვირფას დროს არ გვაკარგვინებს.

ბიორეგულაციური პრეპარატები მატრიქსში დაგროვილი ტოქსინების მობილიზებას ახდენს, ამ უკანასკნელთ არატოქსიკური ნაერთების წარმოქმნის სახით უკავშირდება და დრენაჟის ორგანოების საშუალებით (ღვიძლი, თირკმელი, კანი, საშარდე სისტემა) ორგანიზმიდან გამოაქვს, ამასთან, აღნიშნული ორგანოების ფუნქციებს ინარჩუნებს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მსგავსი მოქმედების მქონე დრენაჟის სხვა მეთოდებიც. მაგალითად, საუნა ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესებს აჩქარებს და დაგროვილი ტოქსინები და მარილები კანის საშუალებით გარეთ გამოაქვს.

ტოქსინების გაუვნებელყოფისა და მათი გამოტანისადმი სწორი მიდგომა, ორგანიზმში მოხვედრამდე მათ გზაზე ბარიერის შექმნა ჯანმრთელობისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

საბაზაფხ ულო გაწმენდა

წელიწადის ცივ დროს ორგანიზმი ნოყიერ, ენერგეტიკულად მდიდარ საკვებს საჭიროებს. ეს საშუალებას იძლევა, ორგანიზმმა სხვადასხვა ნივთიერების, მათ შორის, ცხიმოვანი ქსოვილის სახით ენერგია მოიმარაგოს. მაგრამ ამის შედეგად მეტაბოლიტებიც (ნივთიერებათა ცვლის პროდუქტი) გროვდება, რომელიც უჯრედგარე მატრიქსში ლაგდება და სისხლძარღვთა და ლიმფურ ძარღვებს შორის ურთიერთქმედებას არღვევს, ასევე, ართულებს საკვები ნივთიერებებით უჯრედების მომარაგებას. შედეგად, უპირველესი ამოცანა ხდება ორგანიზმის გაწმენდა და მისი დეტოქსიკაცია. შედეგის მიღწევის ყველაზე მარტივი მეთოდი კი შიმშილობა ან განსაკუთრებული კვების რეჟიმი. ეს ორგანიზმში დეტოქსიკაციურ პროცესებს ასტიმულირებს, რაც ნივთიერებათა ცვლასაც აუშვობს.

მაგალითად, ზოგიერთი გერმანელი სპეციალისტი ბოსტნეულით კვების რ-დიან კურსს გვირჩევს (ბორში, შჩი, მოხარშული კარტოფილი, შემჟავებული კომბოსტო), რაც ორგანიზმში საერთო მჟავიანობის დონეს ამცირებს (სპეციალისტები ქსოვილთა ზოგად აცილოზზე საუბრობენ, რომელიც, დიდწილად, სწორედ ინტოქსიკაციაა), რადგან ბოსტნეული მჟავის გამანეიტრალებელი ფუნქციის დონეს ამაღებს. საკვებთან ერთად რაციონში უნდა ჩავრთოთ სპეციალური ბალახეული ჩაიც, რომელიც ხელს ტოქსინების შებოჭვასა და გამოტანას უწყობს. დრენაჟის ფუნქციის გაძლიერება შესაძლებელია და საჭიროა ნატუროპათიული საშუალებებით, რომლებიც ღვიძლის, თირკმლების, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ფუნქციების შენარჩუნებას, ასევე, კანის საშუალებით ტოქსინების გამოტანას განაპირობებს. ზოგიერთ შემთხვევაში მიმართავენ ფიტოპრეპარატებს (მცენარეთა ექსტრაქტებს), რომლებიც ღვიძლის მუშაობას ასტიმულირებს. ექიმის დანიშნულებით შესაძლებელია ჩატარდეს ბიორეგულაციური პრეპარატების, ტუტოვანი საშუალებებისა და ვიტამინების სპეციალური ინფუზიები. წელიწადში რამდენიმე ინფუზიის კურსი საშუალებას იძლევა, ორგანიზმი შესანიშნავ მდგომარეობაში, კარგად მომუშავე სადრენაჟო ორგანოებითა და იმუნური სისტემით შევინარჩუნოთ.

ბიორეგულაციური ტრიო

ტოქსინებთან ეფექტური ბრძოლისათვის 3 ბიორეგულაციურ პრეპარატს იყენებენ.

პირველი მათგანი – Lymphomyosot – მატრიქსიდან ლიმფური სისტემის გავლით ტოქსინების გამოტანას განაპირობებს და უჯრედშიდა სივრცის საწყის, ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნებას უზრუნველყოფს, რაც ასე აუცილებელია აქტიური იმუნიტეტის შენარჩუნებისათვის. მისი დახმარებით ზორციელდება ორგანიზმის ბუნებრივი დაცვითი ძალების სტიმულაცია და რეგულაცია, აღნიშნული ძალების რესურსები კი მიზანმიმართულად შეიძლება გამოვიყენოთ – ჯანმრთელობა და დაბერების საწინააღმდეგო ეფექტური პროცესები შევინარჩუნოთ. ამ



სამკურნალო საშუალების შემადგენლობაში შედის მცენარეული და მინერალური წარმოშობის კომპონენტები, რომლებიც როგორც მატრიქსზე, ასევე სუნთქვის, ლიმფურ და შარდსასქესო სისტემაზე ახდენს ზემოქმედებას. ორგანიზმში დაგროვილი ტოქსინების გამოთავისუფლებისას ისინი სადრენაჟო ორგანოებამდე აღწევს, რაც მათ გამოდევნას უზრუნველყოფს. პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი თითოეული ნივთიერება „საკუთარ უბანზე“ პასუხისმგებელი. დეტოქსიკაციის მდგრადი ეფექტის მისაღწევად Lymphomyosot-ის 10 წვეთს სამჯერ დღეში, ხანგრძლივი დროის განმავლობაში (2 კვირიდან 2 თვემდე) ნიშნავენ. მსგავსი სადრენაჟო მკურნალობის კურსის დროს დიდი რაოდენობით სითხის, სასურველია ჩვეულებრივი ან სუსტად მინერალიზებული წყლის, ხლისა და ბოსტნეულის წვენების, ბოსტნეულის ბულიონების მიღება – ისინი ორგანიზმს დაგროვილი ტოქსინების სწრაფ და დროულ გამოტანაში ეხმარება.

ბიორეგულაციური წვეთები Nux comica-Homaccord საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მოქმედებას არეგულირებს და საჭმლისა და მთელი რიგი ტოქსინების ტრანზიტს აჩქარებს.

Berberis-Homaccord-ს კი ტოქსინები საშარდე სისტემის საშუალებით გამოაქვს.

ეს პრეპარატები შესაძლებელია 1 ლ წყალში განვაზავოთ (თითოეულის 30 წვეთი) და დღის განმავლობაში თანდათან დავლიოთ. ისინი არა მარტო ხელს უწყობს ორგანიზმს, არამედ მისთვის საჭირო სითხის დიურ რაოდენობასაც აესებს. შემთხვევითი არაა, რომ გერმანიაში, სადაც დიდი ხანია, ასეთი თერაპია „გაზაფხულის გაწმენდის“ სტანდარტად იქცა, Lymphomyosot, Nux comica-Homaccord და Berberis-Homaccord გაერთიანებულია სადეტოქსიკაციო ნაკრებში Detox-kit-ის სახელწოდებით.



ალერგია

ბევრი ექიმი ამტკიცებს, რომ საკვებისმიერი ალერგიებით – გასული საუკუნის 80-90-იანი წლების ნამდვილი „სასჯელი“ – ავადობის მაჩვენებელი ბოლო ათწლეულში მცირდება. განვითარებულ ქვეყნებში უფრო მეტი ყურადღება დაუთმეს საკვები პროდუქტისა და კოსმეტიკის ეკოლოგიურ სისუფთავეს, დაიწყო კურსობრივი (გაზაფხულისა და ზაფხულის) თერაპიის ჩატარება, რომელიც ორგანიზმიდან ტოქსინების გამოტანას ითვალისწინებს. რასაკვირველია, სხვადასხვა ალერგიული რეაქციის თავიდან აცილების უმნიშვნელოვანეს პროფილაქტიკურ მიდგომას დეტოქსიკაციისათვის სპეციალური ბუნებრივი პრეპარატების გამოყენება წარმოადგენს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ალერგიის გამოვლინება იმ პირებში, რომლებიც საერთოდ არ არიან დაავადებისადმი, მათ შორის, სეზონური სურდოსადმი მიდრეკილი, რომლებიც, მრავალი მეცნიერის აზრით, იმუნური სისტემის ვარჯიშის ფუნქციას ასრულებს.

ასეთ შემთხვევებში გამოვლენილი სიმპტომები, დიდი ალბათობით, ქრონიკული დაავადების უხილავ, ღრმა პროცესების გამოვლენას ემსახურება, რომელიც ორგანიზმის შინაგანი გარემოს დარღვევის შედეგად ვითარდება. ადრე აღიარებული იყო სრულიად უვნებელ ნოვითერებზე (ყვავილოვანი მცენარეების მტვერი, ცხოველთა ბეწვი და ა.შ.) ჭარბი იმუნური რეაქციის ჰიპოთეზა. დღეისათვის, იგი იმუნური რეაქტიულობის მხრიდან სავარაუდო მეორადი ცვლილებების შეხედულებით შეიცვალა, პირველად ცვლილებებს, ჰომეოსტაზის დარღვევებს კი, რომლებიც სხვადასხვა ალერგიული სიმპტომის განვითარებას იწვევს, ჰეპატობილიარული ზონის ორგანოების (ღვიძლი, კუჭკემა ჯირკვლი, ნაღვლის ბუშტი)

დარღვევები და დაავადებები წარმოადგენს. ექიმმა, რომელიც ალერგიული დაავადებების – რთული და მრავალსაფეხურიანი პროცესის მკურნალობისადმი ერთიანი მიდგომის მომხრეა, ავადმყოფს შესაძლოა ურჩიოს ბიორეგულაციური პრეპარატის *Lep-tandra compositum*-ის (წვეთები) საშუალებით

კუჭკემა ჯირკვლის მუშაობის, *Hepar compositum*-ისა (ამპულები) და *Hepeel*-ის (ტაბლეტი) საშუალებით კი ღვიძლის მუშაობის დახმარება. ბიორეგულაციური თერაპიის ეს დონე ყველაზე უფრო ღრმაა და ორგანიზმში დეტოქსიკაციის ძირითად მექანიზმებამდე აღწევს. მრავალფეროვანი სიმპტომებიც დიდ ყურადღებას იმსახურებს. მაგალითად, სასუნთქი გზების დაზიანებასთან (ალერგიული რინიტი, ასთმური ბრონქიტი, ბრონქული ასთმა) დაკავშირებული ალერგიების დროს ექიმები ხშირად ნიშნავენ პრეპარატ *Luffeel*-ს. მის შემადგენლობაში წარმოდგენილია ჰომეოსტაზიზირებული (ძლიერ განზავებული) ჰისტამინი – ნივთიერება, რომელიც ანთებითი რეაქციის ძირითადი

„პროვოკატორის“, ჰისტამინის მიმართ თავისებური „ანტიდოტის“ ფუნქციას ასრულებს. ალერგიული დაავადება რომ განვკურნოთ, ბიორეგულაციური მედიცინის რამდენიმე ძირითადი წესის დაცვა საჭირო. უპირველესად, ალერგიული რეაქციის არ უნდა შეგვეშინდეს, რადგან კანის ზედა-



პირზე შინაგანი პროცესების გამოტანის დახმარებით ორგანიზმი ტოქსინებისაგან, მათ შორის, ალერგენებისაგან თავის დაღწევას ცდილობს. კანისმხრივი მოვლენები არ უნდა „წავშალოთ“, რადგან მრავალი ექიმის გამოცდილება ადასტურებს – კანისმხრივი რეაქციების დათრგუნვამ, განსაკუთრებით კი კორტიკოსტეროიდების მალამოებით, შესაძლოა დაავადების გაღრმავება, ტოქსინების (ალერგენების) ორგანიზმის შიგნით მისი გადასვლა და ბრონქული ასთმის განვითარება გამოიწვიოს.

კვებისმიერი ალერგიების დროს უშუალოდ ალერგენი უნდა გამოვრიცხოთ, მაგრამ აუცილებელი არ არის სხვა პროდუქტის მოშორება. ტოტალურმა შეზღუდვამ შესაძლოა დეპრესია და შინაგანი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გამოიწვიოს.

კომპლექსური მიდგომა არ უნდა დავივიწყოთ:

- აუცილებელია ორგანიზმის ზოგადი დეტოქსიკაცია,
 - სასურველია როგორც უშუალოდ კანის, ასევე ლორწოვანი გარსების დახმარება, რომლებიც, ხშირად, ალერგიის სიმპტომების გამოვლენის არენა ხდება.
- აღნიშნული ზომები ალერგიის დაძლევაში დაგვეხმარება, თუკი მას როგორც „შიგნიდან“, ასევე „გარედან“ განვკურნავთ.

